



ბერლინი, 20 ოქტომბერი 2023

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამა

„თანამშრომლობის გაფართოება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან“

„აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების პროგრამა“ (ÖPR-პროგრამა) ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოებებს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ დემოკრატიულ განვითარებაში და ხელი შეუწყონ ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესებს პროგრამაში მონაწილე ქვეყნებში. ÖPR-პროგრამით გერმანიის ფედერალური მთავრობა ხელს უწყობს ღონისძიებებს, რომლებიც ქმნიან ან აფართოებენ გერმანიისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) და ასევე რუსეთის დემოკრატიულ, არასამთავრობო მოთამაშეებს შორის თანამშრომლობის მდგრად სამოქალაქო საზოგადოებრივ სტრუქტურებს. საუბარია გერმანიასა და პროგრამაში მონაწილე შესაბამის ქვეყანაში პროექტის პარტნიორებს შორის თანამშრომლობასა და ამოცანების თანასწორუფლებიან განაწილებაზე. ეს მოიცავს კულტურისა და განათლების პოლიტიკის სფეროში საპროექტო საქმიანობის მთელ სპექტრს (განსაკუთრებით მედიის, მეცნიერების, განათლების - პროფესიული განათლების ჩათვლით, კულტურის, უცხო ენისა და ახალგაზრდებთან მუშაობის სფეროებს).

რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევით წარმოებული ომი უკრაინის წინააღმდეგ და მისი პირდაპირი შედეგები ÖPR-პროგრამის ქვეყნებზე განსაკუთრებით საჭიროს ხდის ამ რეგიონში და ასევე დროებით დევნილობაში მყოფი სამოქალაქო საზოგადოებრივი სტრუქტურების ხელშეწყობის გაგრძელებას. სამხრეთ კავკასიაში მოვლენების ამჟამინდელი განვითარების ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

მოვლენების ასეთი განვითარების ფონზე ჩვენს მთავარ ინტერესს ÖPR-პროგრამის 2024 წლის ციკლში წარმადგენს (1) რეგიონში დემოკრატიულად ორიენტირებული სამოქალაქო საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და ქსელების შენარჩუნება და ასევე აღდგენა, განსაკუთრებით უკრაინაში, ან დროებითი ემიგრაციის პირობებში, (2) მედეგობის გაძლიერება, პირველ რიგში დეზინფორმაციის მიმართ, და (3) მოწყვლადი ჯგუფების განსაკუთრებული ხელშეწყობა.

ამ ღონისძიებებით გვსურს გავაძლიეროთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებები და რუსეთისა და ბელორუსის დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ საზოგადოების მდგრადობა დეზინფორმაციის მიმართ. ახალგაზრდებისათვის უფრო მეტი საზოგადოებრივი აქტიურობის მოტივაციად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაცვლითი პროგრამები, კულტურული ღონისძიებები საერთო ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების თემებზე დისკუსიებით, ასევე აკადემიური, პროფესიული და სამოქალაქო-საზოგადოებრივი განათლების პროექტები.

I. ყველა პროექტი შემდეგი ზემდგომი მიზნებიდან მინიმუმ ერთ-ერთს უნდა ემსახურებოდეს:

1. პლურალიზმისა და მედეგობის გაძლიერება - აზრთა სხვადასხვაობისა და მედიის მრავალფეროვნების მხარდასაჭერად და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პლურალიზმის იდეა თანამედროვე დემოკრატიის ცენტრალური და კონსტიტუციური ელემენტია. მისი ლეგიტიმურობის საფუძველი პირველ რიგში არის გამოხატვის, ინტერესებისა და მიზნების იმ მრავალფეროვნების აღიარება და პატივისცემა, რომელიც საზოგადოებაში არსებობს.

ÖPR-პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის, გამოხატვისა და მედიის მრავალფეროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას და მედეგობის გამყარებას. აქ განსაკუთრებით ისეთი პროექტები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც მიმართულია არასანდო და არასწორი ინფორმაციისადმი საზოგადოების მდგრადობის ჩამოყალიბებისკენ მედიის წარმომადგენლების გაძლიერებისა და კვალიფიცირების, ასევე ხარისხიანი და პლურალისტური (ადგილობრივი) მედიის უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. ამასთან იმ ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც დროებით ემიგრაციაში იმყოფებიან, უნდა გაეწიოს ისეთი დახმარება, რომ მათ შეძლონ თავიანთი პროფესიით საქმიანობის გაგრძელება, სანამ შესაძლებელი იქნება მათი სამშობლოში დაბრუნება.

2. ღირებულებათა დისკურსისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა - მეტი ურთიერთგაგებისათვის

ამ მიზნისთვის შეიძლება დაფინანსდეს გაცვლითი და კულტურული პროექტები. ურთიერთშეხვედრებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი თემების შესახებ დიალოგი, როგორცაა ადამიანის უფლებათა პატივისცემა, მმართველობის კანონიერება, სასამართლოების დამოუკიდებლობა და სიცოცხლისა და თავისუფალი არჩევანის უფლება, ასევე ხმათა უმრავლესობით არჩევის პრინციპი. ამ ღირებულებათა ერთობლივი მხარდაჭერა ხელს უწყობს ურთიერთგაგებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ამ ქვეყნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას გერმანიაში.

დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა შედეგად სამოქალაქო საზოგადოებრივი დიალოგის ან კულტურული ღონისძიებების მეშვეობით ხდება ზემოაღნიშნული ფუნდამენტური ღირებულებების გაზიარება, გაძლიერება და პარტნიორ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ქსელის ჩამოყალიბება. დაფინანსდება ასევე ინიციატივები, რომლებიც გერმანიაში თვალსაჩინოს გახდის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სუვერენულ იდენტობას, რათა ასევე გერმანიაში ჩამოყალიბდეს დიფერენცირებული გაგება რუსეთის აგრესიული ომის მიზეზებთან მიმართებაში და გერმანიის საზოგადოებამ გაიცნოს მთელი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ისტორია.

3. მომავლის პერსპექტივების შექმნა და დემოკრატიული ცვლილებების განხორციელება - დემოკრატიის გაძლიერებისთვის, კორუფციის დამარცხებისთვის, ევროკავშირთან დაახლოებისთვის და ამავედროულად განათლების ინდივიდუალური შესაძლებლობისთვის.

ამ მიზნისათვის შეიძლება დაფინანსდეს ისეთი ინიციატივები, რომლებიც აძლიერებს დემოკრატიულ მისწრაფებებს, რათა ყველას მიეცეს მყარი საზოგადოებრივი მომავლის პერსპექტივა. განსაკუთრებით უკრაინაში ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს ტრანსფორმაციის პროცესებისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების შენარჩუნება და აღდგენა, რომლებიც რუსეთის მხრიდან წარმოებული თავდასხმითი ომის შედეგად განადგურდა. ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ განსაკუთრებით ისეთ პროექტებს, რომლებიც პარალელურად მიმართულია უკრაინის, მოლდოვის რესპუბლიკისა და საქართველოს ევროკავშირში პერსპექტიული გაწევრიანებისკენ. დაფინანსდება ასევე აკადემიური, პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მეტი საზოგადოებრივი ქმედების მოტივაციას და შესაძლებელს ხდის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ

ჩართულობას. ასევე უნდა შენარჩუნდეს (სამოქალაქო) საზოგადოებრივი სტრუქტურები იქ, სადაც ისინი განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დგანან.

4. დიალოგისა და დაახლოების ხელშეწყობა - ნდობის აღდგენის ღონისძიებები პერსპექტივაში რეგიონალური კონფლიქტების დაძლევისათვის.

დაფინანსდება ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც მოუგვარებელ რეგიონალურ კონფლიქტებში კულტურისა და განათლების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით კრიზისის პრევენციისა და დაძლევის ეფექტი გააჩნია და რომლებიც ამით ურთიერთგაგებას ემსახურება. 2024 წელს ხელშეწყობის ეს მიზანი მიმართულია განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისკენ (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი). სამხრეთ კავკასიაში მოვლენების ამჟამინდელი განვითარების ფონზე აქტუალური და კვლავ მნიშვნელოვანია რეგიონში დიალოგისა და ურთიერთდაახლოების ხელშეწყობა. გარდა ამისა, რუსეთის მხრიდან წარმოებული თავდასხმითი ომის ფონზე ბევრმა ადამიანმა დატოვა უკრაინა, რუსეთი და ბელარუსი და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყანაში გადავიდა საცხოვრებლად, რადგან თვლიდნენ, რომ საფრხე ემუქრებოდათ მათი შეხედულებების გამო. ამიტომ ასევე დაფინანსდება ისეთი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ამ ადამიანების დაახლოებას (სამოქალაქო) საზოგადოებასთან მათ ახალ სამშობლოში.

II. 2024 წელს შესარჩევი კომისია უპირატესობას მიანიჭებს ისეთ პროექტებს, რომლებიც ეხება ერთ-ერთ შემდეგ საკითხს:

(1) სამოქალაქო საზოგადოებრივი ქსელების შენარჩუნება და აღდგენა ევროპული თანამშრომლობის კონტექსტში

ჩვენ ხელს ვუწყობთ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას შეცვლილ პირობებში, მაგალითად დროებით დევნილობაში/ემიგრაციაში ყოფნის დროს ან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, და სამოქალაქო საზოგადოებრივი სტრუქტურების აღდგენას. უკრაინის, მოლდოვას რესპუბლიკისა და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის მხარდასაჭერად 2024 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც ხელს უწყობს საჭირო რეფორმებს და მიმართულია მაგალითად დემოკრატიის, პრესის თავისუფლების, კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობისკენ.

ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ფორმატებსა და შეხვედრების ღონისძიებებს. აქ აქცენტი გაკეთებულია სომხეთზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე, მოლდოვას რესპუბლიკასა და უკრაინაზე.

რუსეთისა და ბელორუსის ფართო რეპრესიების გათვალისწინებით, ამ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებთან ÖPR-პროექტები - ჩვენი სურვილის მიუხედავად - შეიცავს დიდ პირად რისკებს იმ მონაწილეებისთვის, რომლებიც აგრძელებენ ამ ქვეყნებში ცხოვრებას. შესაბამისად **რუსეთისა და ბელორუსის დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებას გვსურს გავუკეთოთ ისეთი შეთავაზებები, რომლებიც არ იქნება ადგილმდებარეობაზე დამოკიდებული.**

(2) დეზინფორმაციასთან და ტყუილ ახალ ამბებთან დაპირისპირება

ამ კატეგორიაში დაფინანსდება ისეთი პროექტები, რომლებიც დეზინფორმაციის კამპანიებისა და ტყუილი ინფორმაციის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებსაც წვლილი შეაქვს არაციფრული თაობის მედია-კომპეტენციის ამაღლებაში და ხელს უწყობს მედიის გათვითცნობიერებულ, დამოუკიდებელ და კრიტიკულ მოხმარებას.

ამ კატეგორიას განეკუთვნება ასევე ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენელთა პროფესიონალიზაცია, ურთიერთდაკავშირება და კვალიფიკაციის ამაღლება. რუსეთთან და ბელორუსთან მიმართებაში ÖPR-პროგრამა ხელს უწყობს განსაკუთრებით დროებით ემიგრაციაში მყოფი სტრუქტურების განვითარებას. მედიის რუსი და ბელორუსი წარმომადგენლების შრომისუნარიანობის შენარჩუნებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დეზინფორმაციის გამოვლენაში, რადგან ეს უზრუნველყოფს როგორც რუსეთისა და ბელორუსის მოსახლეობისთვის, ასევე შესაბამის რეგიონში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობისთვის ახალი ამბების დამოუკიდებელ მიწოდებას.

(3) ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობის, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერება

ამ კატეგორიას განეკუთვნება პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა საზოგადოებრივი ჩართულობის ცნობიერების ამაღლებას და მათ სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ აქტორებთან დაკავშირებას. ფემინისტური საგარეო პოლიტიკის ფარგლებში გერმანიის მთავრობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის ყველა ჯგუფი ჩართული იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და

მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჩართულობა გაძლიერდეს. ეს ასევე ეხება პოლიტიკურ სივრცეში ქალთა ჯერ კიდევ არასაკმარის წარმომადგენლობას.

ამ კატეგორიაში ხვდება ასევე პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას საფრთხის ქვეშ მყოფ სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოწყვლად ჯგუფებთან, როგორც არიან ბავშვები და მოზარდები, შშმ პირები და LGBTIQ-პირები, და აძლიერებს მათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჩართულობას, ასევე პროექტები, რომლებსაც ეფექტი აქვს ურბანული დასახლებების ფარგლებს გარეთ / სოფლებში.

ფორმალური წინაპირობები (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების განყოფილებაში):

სამოქალაქო საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროექტების დაფინანსება შესაძლებელი იქნება, თუ ისინი განხორციელდება **გერმანიაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში** (აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) ან **რუსეთში** და პროექტში მინიმუმ ორი ორგანიზაცია იქნება ჩართული (ერთი მათგანი გერმანიიდან და მინიმუმ ერთი სამიზნე ქვეყნიდან). დამატებით შესაძლებელია პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობა **საფრანგეთიდან** და/ან **პოლონეთიდან**, რასაც დიდად მივსალმებით. ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს იმ პარტნიორი ორგანიზაციების პროექტები, რომლებიც დროებით ემიგრაციაში/დევნილობაში იმყოფებიან.

დაფინანსდება **მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებრივი პროექტები**, ე.ი. სახელმწიფოსა და ბიზნესის მიღმა მდგომი აქტორები.

დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის საპროექტო სახსრები. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ექვემდებარება წლიური ბიუჯეტის პრინციპს. აქედან გამომდინარე პროექტები როგორც წესი უნდა **დასრულდეს 2024 წლის განმავლობაში**. ე.ი. **2024 წლის 31 დეკემბრამდე**. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხოლოდ დასაბუთებულ შემთხვევებში შეუძლია მომდევნო წელს გადასული პროექტების დაფინანსება.

დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 50.000 ევროს. დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა არ არის განსაზღვრული.

პროექტის მონახაზის ფორმით განაცხადის (გერმანულ ან ინგლისურ ენებზე) მიღება შესაძლებელია 2023 წლის 20 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე მხოლოდ შემდეგი ვებ-გვერდის მეშვეობით:

<http://oepr.diplo.de>

ამ ვებ-გვერდზე თქვენ იხილავთ დამატებით [ინფორმაციას](#) და მონახაზის ფორმით საპროექტო განაცხადის შემოტანის [წესებს](#). შემოტანილ პროექტის მონახაზში ცვლილებების დამატება და პროექტის მონახაზების დაგვიანებით შემოტანა სამწუხაროდ შეუძლებელია.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ, ჯერ გაეცნოთ ხშირად დასმული შეკითხვების პასუხებს (FAQ). თუ თქვენს შეკითხვაზე ვერ მოიძიეთ პასუხი, მაშინ გთხოვთ მიმართოთ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 601-ე დეპარტამენტს ელ. ფოსტით 601-oepr@diplo.de ან პირდაპირ შესაბამის თანამშრომლებს:

ქალბატონი ფაბიან ნესი (Fabien Ness): +49 30 1817 1376 / 601-1@diplo.de (ბელორუსი, რუსეთი)

ქალბატონი იულია ლუთერი (Julia Luther): +49 30 1817 4272 / 601-5@diplo.de (მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა)

ქალბატონი მარიეტე პფისტერი (Mariette Pfister): 030 1817 7975 / 601-6@diplo.de (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი)

ბატონი დანიელ დემელე (Daniel Demele): +4930 18 473014101/ daniel.demele@diplo.de

ვებ-გვერდზე <http://oepr.diplo.de> მუშაობისას **ტექნიკურ სირთულეებთან** დაკავშირებით გთხოვთ მიმართოთ ქალბატონ იულია მელტკეს (Julia Meltke), ტელ: +49 30 18 4730 14125, ელ. ფოსტა: bf-f-pf-1-17@auswaertiges-amt.de.